

როდის განათხილავს საკრებულო მუშაობას



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2 ნოემბერს დადგენილი მორიგი სხდომა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრებმა და სხვა დეპუტატებმა დატოვეს. ამის გამო ქვორუმი არ შედგა და საკრებულოს სხდომა ჩაიშალა.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მალაქაძის** განმარტებით, „სხდომის დასაწყისში, ვიდრე დღის წესრიგს დაამტკიცებდნენ, ფრაქციის თავმჯდომარე ვარლამ თავზარაშვილმა განცხადების გაკეთება მოითხოვა. შემდგომ, არ მიმეცა იმ მომენტში მისთვის სიტყვა. რეგლამენტის თანახმად, ჯერ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები უნდა მივიღოთ და მერე შევიძლება საკრებულოს ნებისმიერმა წევრმა ისაუბროს, - ამბობს ინგა მალაქაძე, - მან მოითხოვა, რომ ბოლოში მომხსადა ვარლამ ჭიჭინაძისთვის. წინააღმდეგ ვითარებაში დატოვებდნენ საკრებულოს სხდომას. ბოლოში უნდა მომხსადა, მისივე თქმით, საკრებულოში მომხდარ ინციდენტზე, რომელიც თითქმის მე წააქეზებ. ვფიქრობ, რომ ჩემი მხრიდან რაიმე უფლებამოსილების გადაშვებას ადგილი არ ჰქონია და დასაბუთებული მდგომარეობის შექმნას არ ვუნებო. თუ რაიმე უკანონო ქმედება განხორციელდა საკრებულოს წევრის მიმართ, ამისთვის არსებობს სხვა უწყებები, რომლებმაც ასეთი საკითხები უნდა გაარკვიონ.

ჩემი პირდაპირი მოვალეობაა საკრებულოს სხდომების წაყვანა და რეგლამენტის დაცვა. არასერიოზული და არათანმიმდევრული განცხადებების გამო არ მაქვს უფლება, საკრებულოს მუშაობას ხელი შევეშალო. ვფიქრობ, დაფიქრდებიან და კიდევ ერთხელ გაიზარებენ პასუხისმგებლობას, რომელიც დეპუტატებს აკისრიათ მოსახლეობის წინაშე და მოვლენ სხდომაზე.“

საკრებულოს თავმჯდომარის მეუღლე და ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ დირექტორია.

„ბიუროს სხდომის შემდეგ ვაგრძელებდი პოლიტიკა, - ამბობს ვარლამ თავზარაშვილი, - სადაც ქალბატონმა ინგამ უთხრა ვალერი ჭიჭინაძის, რომ შენ თუ ვაგინებენ, ეს არის ძალიან კარგი და ხშირად ხარ სალანუნო და საცემო. ჩვენ გვაქვს ამის ჩანაწერი. ამ სიტყვიდან ორ დღეში ინგა მალაქაძის მეუღლემ ფაქტობრივად შეასრულა ის, რაც იყო ნათქვამი. ჩვენ მოვთხოვეთ საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ საჯაროდ მოეხადა ბოდიში. ჩვენ არ ვაპირებთ ვიმუშაოთ საკრებულოს ისეთ თავმჯდომარესთან, რომელიც ნათქვამს ასეთ ქმედებას. მან იუარა ბოდიშის მოხდა, ჩვენ სხდომა დაეტოვეთ.“

საკრებულოს სხდომა დატოვებს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრმა დეპუტატებმა: შალვა ლურსმანაშვილი, ვარლამ თავზარაშვილი, ბესიკ ფოცხვერაშვილი, ჯამბულო გამყემლიძე, ანა ფურცელაძე, გივი თხელიძე, ვარლამ ჭიჭინაძე, მანანა ბარბაქაძე, დავით ლურსმანაშვილი, დავით კიკნაძე, გიორგი გრიგალაშვილი, ლენა აბაშიძე. ამ ფრაქციის წევრებიდან 2 ნოემბრის სხდომაზე არ იმყოფებოდნენ მერაბ ტალახაძე და ვლადიმერ ტალახაძე. სხდომა ასევე დატოვეს დეპუტატებმა გივი ხიჯაძემ, ბესიკ ტალახაძემ, ნონა ზურაბიანი, მარინე ვფხვაძემ და იუზა კვლევნიკიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს სხდომა იმავე დღეს, 13:00-ზე დაინიშნა, თუმცა ვერ შედგა ქვორუმის არარსებობის გამო. ამის შემდეგ სხდომა მეორე დღისთვის, 3 ნოემბრისთვის დაინიშნა.

საკრებულოს 35 წევრიდან 3 ნოემბერს სხდომაზე გამოცხადდა თერთმეტი დეპუტატი: ინგა მალაქაძე, უჩა ბერიძე, მიხეილ გელაშვილი, მერაბ ლონდაძე, იური ლურსმანაშვილი, თამარი ვაგომიძე, გელა გოლუბიანი, თორნიკე ავალიშვილი, ქეთიკო ზუმ-

ბაძე, აკაკი მაჭავარიანი და ვლადიმერ ბუაჩიძე.

„იმედი მაქვს, რომ საკრებულოს წევრები გამოიჩინენ გონიერებას, - აღნიშნა 3 ნოემბერს საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მალაქაძე**, - ვფიქრობ, რომ ისინი არიან ცალმხრივად ინფორმირებულები. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ამ ადამიანებთან ვისაუბრებთ, ინფორმაციას მივანოდებთ და საკრებულო თავის საქმიანობას განაახლებს ჩვეულ რეჟიმში.“

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელ **ტატიო კუჭავასთან** მოპოვებული ინფორმაციით, ვარლამ ჭიჭინაშვილმა განცხადებით მიმართა შსს ხარაგაულის რაიონულ განყოფილებას. მიმდინარეობს საქმის აღმინისტრაციული სამართალწარმოება. დაიკითხა ორივე მხარე.

საკრებულოს 2 ნოემბერს დადგენილი სხდომაზე უნდა განხილულიყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების მდგომარეობა; გაგეობის კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში.

სხდომაზე საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გივი თხელიძეს უნდა წარმოედგინა ადგილობრივი ბიუჯეტიდან სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების კუთხით გაკეთებული ფინანსური დახმარების ათვისების შესახებ ინფორმაცია და კომისიისგან შემდგომი რეკომენდაციები; ხოლო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა ლურსმანაშვილს დეპუტატებისთვის უნდა წარედგინა საკრებულოს მიერ გამარტივებული შესყიდვების თაობაზე განკარგულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

60600 კაპანაძე ლაშრა გომოლაძე

„ეთალონში“ მარეალისებამ მარიამ ფცქიალაძემ გაიმარჯვა

3 ნოემბერს ხარაგაულში „ეთალონის“ მეორე ტური ჩატარდა. მასში პირველ ტურში გამარჯვებული 25 მოსწავლე მონაწილეობდა. „ეთალონის“ მეორე ტურს თავად პროექტის ავტორი და ნამყვანი გოჩა ტყემლაშვილი უძღვევდა.

ფინალში ერთმანეთს მარეალისის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ ფცქიალაძე და ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე ნონა მაჭავარიანი შეხვდნენ. დასაბუთებულ პედაგოგებმა მარეალისელმა მარიამ ფცქიალაძემ გაიმარჯვა. მესამე ადგილზე გავიდა ბორისის საჯარო სკოლის მოსწავლე სოსო გოგოლაძე.

მარიამ 21 მაისს თბილისში „ეთალონის“ ფინალში მიიღებს მონაწილეობას. ხარაგაულის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსის, ირინე ჩხეიძის ინფორმაციით, პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლევებს - მარიამ ფცქიალაძეს, ნონა მაჭავარიანს და სოსო გოგოლაძეს მუნიციპალიტეტის გამგებელი ლეპტოპებით დააჯილდოვებს.

„ეთალონის“ მეორე ტურის ყველა მონაწილეს გოჩა ტყემლაშვილმა სივლეები გადასცა.

შემდგომ ნარმატებებს ვუსურვებთ მარიამ ფცქიალაძეს.

მარეალისის გზა მოსაფალოდება

მარეალისის რკინიგზის სადგურიდან სოფელ მარეალისის ცენტრამდე ასფალტირებული გზა გაკეთდება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მალაქაძის ინფორმაციით, ამის შესახებ განაცხადი უკვე შეტანილია მუნიციპალური განვითარების ფონდში.

„ხარაგაულის ადგილობრივი ხელი-სუფლება დაინტერესებულია ტურიზმის ხელშეწყობით, - ამბობს ინგა მალაქაძე, - ვფიქრობთ, რომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი არის ერთ-ერთი ცენტრალური რესურსი ტურიზმის კუთხით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიმდებარეობის გასაზრდელად. მარეალისის გზა კი არის ეროვნული პარკის ერთ-ერთი შესასვლელი. საჯაროდ, მიმდინარე წლის ნოემბერში შეიარჩება მშენებელი ორგანიზაცია და მომავალი წლის გაზაფხულიდან სამშენებლო სამუშაოები დაიწყება.“

მარეალისის 3, 8 კმ გზის მშენებლო-

ბის პროექტის ღირებულება აღწევს 1,5 მილიონს. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ვანარშობით მოლაპარაკებას რკინიგზის დეპარტამენტთან სადგურ მარეალისის ინფრასტრუქტურის მოსანესრულებლად.

მომავალი წლიდან ასევე ვგეგმავთ მოლაპარაკებებს წუნისის გზასთან დაკავშირებით. 2016 წელს დაიწყება ძირუ-ვაკის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისა და სალანძხლის საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტები.

ინგა მალაქაძის ინფორმაციით, მზადდება ხარაგაულის №2 და დიდ-ვაკის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისა და სალანძხლის საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტები.

„სოფელი ბანკი აფინანსებს ენერგოეფექტური პროექტების მშენებლობას და არსებულის რეაბილიტაციას. იმედი გვაქვს, რომ გარკვეულ შედეგს ამ მიმართულებითაც მივაღწევთ, - ამბობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ვახანში ხილი აღდგება

ვახანის საავტომობილო ხიდის მონტაჟის ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 6 415 ლარად გეგმავს.

ხიდის აღსადგენად გამოცხადებულ ტენდერში შპს „ტუკა“ მონაწილეობს.

ასევე დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელსამანის ცენტრალური სასოფლო გზის რეაბილიტაცია. ამ გზის კაპიტალური შეკეთებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად ტენდერში გამარჯვებულ შპს „პროექტმენი +“-სთან ხელშეკრულების მოზიდვება მიმდინარეობს 2299 ლარად. თავად პროექტი კი, - გელსამანის ცენტრალური სასოფლო გზის კაპიტალური შეკეთება, - საჯაროდ, 500 000 ლარი ღირებულების იქნება. განსაზღვრულია 3 კილომეტრზე 16 სმ სისქისა და და 3 მეტრი სიგანის ბეტონის გზის მონტაჟი.

ვიდრე გელსამანის გზის რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგება და შემდეგ ტენდერით შემსრულებელი სამშენებლო ორგანიზაცია შეიარჩება, სტიქიით დაზიანებული გელსამანის გზის შესაკეთებლად 4 235 ლარი განისაზღვრა.

აღნიშნული თანხა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა, ერთ პირთან მოპალარაკების გზით, 9 სექტემბერს დადებული №236 ხელშეკრულების თანახმად, შპს „ხარაგაული 2011“-ს გამოუყო.

ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო გოლათუნის, ლეღვის, ხუნევის, ვერტყვილას, ბუნივის, ხევის,

ბორისის, ბორისა და ქროლის სტიქიისაგან დაზიანებული საავტომობილო გზების შეკეთება.

კერძოდ, №236 ხელშეკრულების თანახმად, გოლათუნის სასოფლო გზის შესაკეთებლად განსაზღვრული იყო 801 ლარი; ლეღვანში სტიქიისაგან დაზიანებული არხის, მდინარის ნაპირის დამცავის აღსადგენად - 6 822 ლარი; ხუნევის დაზიანებული გზის შესაკეთებლად - 2 280 ლარი; ვერტყვილასა და ბუნივის გზების აღსადგენად - 3 831 ლარი; ბორის გზის შესაკეთებლად - 9 061 ლარი; ქროლის გზის აღსადგენად - 2 614 ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი **არჩილ ლურსმანაშვილი** ამბობს: „იმის გამო, რომ მომავალში მუნიციპალიტეტი გეგმავს ფართო მასშტაბით ჩაატაროს აღდგენითი სამუშაოები წიფის, ლეღვის, კიციხისა და ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ამიტომ ზედმეტად ჩავთვალეთ ამ ეტაპზე ამ სოფლებში ხარჯების განწევა. ამის შესახებ 24 სექტემბერს ვაცნობეთ შპს „ხარაგაული 2011“-ს.“ მისივე ინფორმაციით, წიფის, ლეღვის, კიციხისა და ბაზალეთის ტერიტორიულ ერთეულებში შემავალ სოფლებში დაზიანებული სასოფლო გზები უახლოეს ხანში აღდგება.

არჩილ ლურსმანაშვილის თმით, ხუნევი, ხეცა და ბორისში სტიქიისაგან დაზიანებული სასოფლო გზები შეკეთებულია.

ლაშრა გომოლაძე

კოოპერატივი „მელვინობა კიცი“ დაფინანსდა



კოოპერატივის ჩამოყალიბების მეორე ეტაპზე ხარაგაულში, კონკრეტულად კი სოფელ კიციში, კიდევ ერთი კოოპერატივი დაფინანსდა. „მელვინობა კიცი“ საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია.

ჩემური არასამთავრობო ორგანიზაციის, - „ადამიანი გაჭირვებაში“ სავსელე კოორდინატორის,

ჰატი ზონიძის, ინფორმაციით, მეორე ეტაპზე ცხრა მუნიციპალიტეტიდან (ხონი, წყალტუბო, ბაღდათი, ტყეპული, ონი ამბროლაური, თერჯოლა, ზესტაფონი, ხარაგაული) 35 განაცხადი შევიდა. მათგან 15 კოოპერატივი დაფინანსდა. „კოოპერატივის თავმჯდომარე ამჟამად იურიდიულ საკითხებს

ავგარებს. რის შემდეგაც მას შეუძენო ტექნიკას და ყველა იმ საჭირო დანადგარს, რაც მოითხოვს საგრანტო განაცხადში,“ - ამბობს ქეთი გოცირიძე.

მისივე ინფორმაციით, 2-4 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ ფერმერებთან, აგრობიზნესის წარმომადგენლებთან და კოოპერატივის შექმნით დაინტერესებულ პირებთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს. „თავიდან ძალიან ჭირდა მოსახლეობის ნდობის მოპოვება. ვერ ვარწმუნებდით, რომ შეეძლოთ გრანტის მიღება საკუთარი ფერმერული მეურნეობის გასაძლიერებლად და ხელშეწყობად. ასეა, შეხვედრების მესამე ეტაპზე, მათი მიდგომები განსხვავებულია. თუ საჭირო იქნება, საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურთან კონსულტაციას გავივლით და კოოპერატივთან დაკავშირებით

შეხვედრებს კიდევ დავგეგმავთ ხარაგაულში. აღსანიშნავია, რომ კოოპერატივის შექმნით დაინტერესებულ პირებთან დარგის ექსპერტებმა იმუშავეს. მათი ცნობიერების ამაღლებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

კოოპერატივის, - „მელვინობა კიცი“ თავმჯდომარე **ჰამლეტ ზარამი** მოხარულია, რომ თანამაზრეობთან ერთად კოოპერატივის შექმნისთვის აუცილებელი ყველა ეტაპი წარმატებით დაძლია.

„ამჟამად დეტალებს ვაზუსტებთ, - ამბობს ჰამლეტ ზარამი, - დავარეგისტრირებთ კოოპერატივს, შემდეგ იმ ადგილს, სადაც უნდა განთავსდეს კოოპერატივის შენობა. კოოპერატივი ექსპლუატაციის ვიქტივობით, რომ ხუთი თანამაზრე კიდევ შემოგვიერთდება.

სავარაუდოდ, ამ თვის ბოლოს ჩემეთში გავცნობთ წარმატებული კოოპერატივის საქმიანობას და შევიძინებთ გამოცდილებას.

შენობის მონესრიგების შემდეგ აღიჭურვება გრანტით მოპოვებული შესაბამისი ტექნიკითა და დანადგარებით. ეტიკეტსა და ბოთლებს თავად შევიძინებთ. ჩვენი სახსრებით ავაშენებთ და მოვანყობთ შენობას.

კოოპერატივის მიზანია ყურძნის გადამამუშავება და ღვინის დამზადება. ყურძნის საჭყლეტი სპეციალური აპარატით უნდა მოვემსახუროთ ადგილობრივ მოსახლეობასაც. ამ დანადგარით ყურძნის გამოსავალი 75-80%-ია, - გაცილებით მეტი, ვიდრე საწინააღმდეგო დაწურვისას. კოოპერატივი მომავალი წლის სექტემბერში გაიხსნება. გარკვეული რაოდენობის ყურძენი ღვინის დასამზადებლად კოოპერატივის წევრებს გვაქვს, ნაწილს - შევიძინებთ.“

ნინო კაკაბაძე

შოტოზა: საინფორმაციო შეხვედრა ხარაგაულში კოოპერატივებთან დაკავშირებით

ხარაგაულის ისტორიის ნარკვევები - წიგნზე მუშაობა გრძელდება

სამუშაო, რომელიც წამოვიწყეთ, ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობს. ვწუხვარ იმის გამო, რომ ჩვენ დათქმულ დროში, მიმდინარე წლის განმავლობაში ვერ მოვახერხებთ წიგნის დაბეჭდვას, მაგრამ ვფიქრობთ, უმჯობესია დაგვიანდეს და სამავგიროდ გამოვეცეთ მასალით სრულყოფილი წიგნი, რომელიც, მართლაც საინტერესო იქნება მკითხველისთვის, ვიდრე ავჩქარდეთ და მთელი რიგი საკითხები შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელი დავტოვო.

ამჟამად ჩემთან ერთად წიგნზე მუშაობენ ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები ეთერ ვეფხვაძე და ეკა შველიძე. ეთერი მუშაობს თბილისის არქივში. მისი სამუშაო თემაა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XIX-XXI საუკუნეებში მოღვაწე ხარაგაულელი

სასულიერო პირები. ეკა შველიძე მუშაობს XX საუკუნის საარქივო მასალაზე, რომელიც კულტურის საკითხებს ეხება. სწორედ მათი თხოვნით გავრძელდა წიგნზე მუშაობის ვადები. მათ მოიპოვეს მრავალი საინტერესო მასალა. ეს სიახლეები მოულოდნელი სიურპრიზი იქნება ხარაგაულელი მკითხველისთვის.

სამუშაოს გავრძელება აუცილებელი იყო პირადად ჩემთვისაც. გულისტკივილით მიწადა ვიქცეა, რომ რედკოლეგია, რომელიც ჩვენ შევქმენით და რომელიც მჭირდებოდა იმისთვის, რომ შემოსული ტექსტების რედაქტირება მოგვეხდინა, ფაქტობრივად, არ მუშაობს. მე მიწვეს სოფლების ისტორიების წაკითხვა. ზოგჯერ არის ისეთი ტექსტები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს, ხელახლა დანერგას მოითხოვს.

საკმაოდ შრომატევადი საქმეა და ეს მხოლოდ მე დამეკისრა. ვარდა იმისა, რომ ამ ტექსტებზე მიწვეს მუშაობა, დასაწერი მაცეს საკუთარი მონაკვეთი, - ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. ეს ძალიან დიდი სამუშაოა. ამ ზაფხულს დაგვწერე საკმაოდ ვრცელი ნაწილი: ხარაგაულის ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო, სავაჭრო გზები, არქეოლოგია.

ხარაგაულის ისტორიის ვინცეობთ ქვის ინდუსტრიული კულტურით (დევის ხვრელი). ამ ეპოქაში საქართველოში, ძირითადად, ზემო იმერეთი ყოფილა დასახლებული. ძვ. წ. III ათასწლეულში, როცა დასავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურა გავრცელდა, ჩამოყალიბდა ბრინჯაოს ეპოქის დასავლურ-ქართული კულტურა.

საჩხერის ყორღანებში, აფხაზურ დოლმენებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვარის მსგავსი არტეფაქტები დაცულია ხარაგაულის მუზეუმში. მოხდა ამ მასალების შესწავლა, აღწერა, ჩანახატების გაკეთება.

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მუზეუმის დირექტორს ქალბატონ ნინო დიდიძეს და მის კოლეგებს იმ დიდი თანამდგომისთვის, რაც მათ გამოიჩინეს ჩვენი წიგნი მიმართ. ქალბატონმა ნინომ საშუალება მომცა, ეროვნული მუზეუმიდან ჩამოსულ მეცნიერთა ჯგუფს შეხვედროდი. ამ ჯგუფს არქეოლოგიის დოქტორი ბატონი რ. კვიციანი ხელმძღვანელობდა. მეცნიერები დაინტერესებულნი არიან ზვარე-ჩრდილის და ლეღვანის არტეფაქტებით. მათ შეისწავლეს ზვარის ის მასალები, რომლებიც

ახლახან მუზეუმს ქალბატონმა ეთერ ბიძინაშვილმა გადასცა. მათი ნარკვევი ცალკე თავად შევაწიგნებთ.

ხარაგაულის ბრინჯაოს ხანა, ანტიკური და ელინისტური ხანა ძალიან საინტერესო მასალებს მოიცავს. იმისთვის, რომ წიგნი კარგი გამოვიდეს, საჭიროა გარკვეული დრო. ამის შესახებ ინფორმაცია მივანოღეთ რაიონის გამგებელს, რომელიც თანახმაა, გაისად დაფინანსდეს „ხარაგაულის ისტორიის ნარკვევები.“

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა შედგავს, რომელმაც ცალკეული სოფლის ისტორია მოგვანოდა. ყველა ეს მასალა თავმოყრილი იქნება ჩვენს წიგნში, რომელიც აუცილებლად დააინტერესებს მკითხველს.

ზინა ბუაჩიძე

პროფესიული გადაწყვეტილება

თანამედროვე სამყაროში სამუშაოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თითქმის ყველა ოჯახიდან რამდენიმე წევრია ჩართული პროფესიულ ცხოვრებაში, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა დანესებულებაში. მუშაობა, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, მიიძღვრება, დატვირთვას და ბევრ დროს მოითხოვს. ზოგჯერ ხდება ისეც, რომ სამსახურის გამო აღამიანებს დრო აღარ რჩებათ ოჯახისა და სამსახურს გარეთ ცხოვრებისათვის. დასაქმებულები აღამიანები ზედმეტი გადაღლის შედეგად ხდებიან ნაკლებპროდუქტიულები და პრობლემები ექმნებათ, როცა პირად ცხოვრებაში, ასევე სამსახურშიც. ისინი დგებიან იმ პრობლემის წინაშე, რომელიც ცნობილია „პროფესიული გადაწყვეტილების“ სახელწოდებით.

ტერმინი „პროფესიული გადაწყვეტილება“ შემოიტანა ამერიკელი ფსიქიკატრის ფრეიდეხერცის მიერ იმ ჯანმრთელი აღამიანების ფსიქოლოგიური მდგომარეობის დასახასიათებლად, რომლებიც პროფესიონალური დახმარების დროს იმყოფებიან კლიენტებთან ინტენსიურ ურთიერთობებში ემოციურად დატვირთულ ატმოსფეროში. გადაწყვეტილება ეს არის ფიზიკური, ემოციური და გონებრივი გამოფიტვა, რომელიც ვლინდება

სოციალური სფეროს პროფესიის წარმომადგენლებში.

პროფესიული გადაწყვეტილება არის სინდრომი, რომელიც ქრონიკული სტრესის ფონზე ვითარდება. ის ამა თუ იმ დანესებულებაში მომუშავე პიროვნების ემოციური და ენერგეტიკული რესურსების გამოფიტვას იწვევს, რომლის შედეგადაც მომუშავე პერსონალის პროფესიულ ზრდას საფრთხე ექმნება. ამ დროს მის ფსიქოლოგიურ, თუ ფიზიკურ სამყაროს არ შეუძლია დაძლიოს საკუთარი მოვალეობები. პროფესიული გადაწყვეტილება ვითარდება პიროვნებაში დაგროვილი უარყოფითი სტრესების შედეგად, რასაც შეუძლია მისი, როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებიდან, ასევე ცხოვრებისეული რიტმიდან ამოგდება. ამ მდგომარეობაში დარღვეულია ნივთიერებათა ცვლა, პიროვნების აზროვნება ყოველთვის დაკავებულია ძილის მოთხოვნით, რომელიც, სამუშაოდ, მაინც არ კმაყოფილდება.

პროფესიულ გადაწყვეტილებას სოციალური და პიროვნული მიზეზი განაპირობებს. უმთავრესი მიზეზი კი, ქრონიკულად დანვითარებული და ჩამოყალიბებული სტრესია; სტრესი, რომელიც მხოლოდ უარყოფით გეგავლენას ახდენს პიროვნულ ზრდაზე.

გადაწყვეტილების ფენომენი არის ხანგრძლივი, არანებორად ჩამოყალიბებული პროცესი, გონების უარყოფითი სტრატეგიული მიმართულება, რომელსაც აუცილებლად სჭირდება შეცვლა. გადაწყვეტილება არის ხანგრძლივი პიროვნული თვითგანადგურების პროცესი, რომლის დროს მოშლილია პიროვნების ყველა დასაცემი მექანიზმი. პროფესიული გადაწყვეტილება უძილობა, დაბალი თვითშეფასება, აპათიურობა, დეპრესიული განწყობა. ამ დროს აღამიანის შრომა ვერ რეალიზდება. მან შეიძლება უამრავი დრო დახარჯოს ამოცანის გადაწყვეტაში, მაგრამ მისი შედეგი უარყოფითი იქნება. საბოლოო მდგომარეობა პიროვნული სტიგმაა, რომელსაც პიროვნება საკუთარ თავს ანიჭებს. აღამიანი საკუთარ თავს ბრალს დებს ყველა მსოფლიო უბედურებაში, ყოველი ნაბიჯი განიხილება, როგორც უარყოფითი და უღებლო. ასეთი მდგომარეობის დროს აღამიანს ახასიათებს უმიზეზო შფოთვა, გაღიზიანება და სხვა ნევროტული სიმპტომები. უფროსობა იშორებს ასეთ აღამიანებს, ანაცვლებს მათ სხვა კადრებით, რომლებსაც უწევთ სამსახურში ადაპტაცია და თავიანთი როლის მორგება.

პროფესიული გადაწყვეტილება ძირითადად სამი კომპონენტისაგან შედგება: 1. ემოციური გამოფიტვა



- ემოციური სიყარვილისა და დაღლილობის შეგრძნება, რომელიც გამოწვეულია სამსახურეობრივი სპეციფიკით; 2. დეპრესიონალიზაცია - საკუთარი შრომისადმი და შრომის სუბიექტისადმი ცინიკური დამოკიდებულება; 3. პროფესიული მიღწევის რედუქცია - მუშაკს უვითარდება საკუთარ პროფესიულ სფეროში არაკომპეტენტობის შეგრძნება და წარუმატებლობის განცდა.

პროფესიული გადაწყვეტილების რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან აღამიანები, რომლებიც მუშაობენ განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფებთან. ასევე მათ, რომლებიც მუშაობენ სასჯელაღსრულების სისტემაში, ბავშვთა სახლებში, საომარი მოქმედებების დროს დაზარალებულებთან და სხვ.

პროფესიული გადაწყვეტილების ფენომენი, სამუშაოდ, საკმაოდ მკვეთრად იჩენს თავს თანამედროვე სამყაროში. იმისათვის, რომ აღამიანი არ დადგეს პროფესიული გადაწყვეტილების საფრთხის წინაშე, საჭიროა პრევენციული მუშაობის ჩატარება. შედეგად, შევძლებთ თავიდან ავირიდოთ სამუშაოს პროდუქტიულობის შემცირება და ამის შედეგად გამოწვეული აღამიანის უარყოფითი თვისებების გამოვლინებები.

ბაია კუზლაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

ხარაგაულის მუზეუმის განახლებისთვის

ორ წელზე მეტია, რაც ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან აქტიურად თანამშრომლობს.

„ჩვენი ურთიერთობა ძალიან ნაყოფიერი და შედეგიანია, - ამბობს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის დირექტორი **ნინო ლილია**, - გესურს, რომ ცავერისა და მარტვილის მუზეუმების მსგავსად, მოხდეს ხარაგაულის მუზეუმის განახლება, ანუ რენოვაცია.“

რას გულისხმობს რენოვაციის პროექტი და რა სამუშაოები ჩასატარებელი პროექტის განსახორციელებლად, ამის შესახებ ნინო ლილია გვსაუბრება:

-ეროვნული მუზეუმის მთავარი ფონდის მცველის, თემურ შარიძის დახმარებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო სულავე და არქიტექტორ-დისაინერი ნინო ოქრუაშვილი გვესტუმრენ. აღნიშნენ ჩვენი მუზეუმის ექსპონატების უნიკალურობა და ინტელექტუალური დახმარება გავიწიეს.

მომზადდა ერთობლივი პროექტი. მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, რომ ჯერ საზოგადოებისთვის წარგვედგინა, თუ რამდენად მოეწონებოდათ მუზეუმის სახეცვლილება. აღსანიშნავია, რომ მუზეუმის ექსპონატები ეროვნული მუზეუმის სპეციალისტთა დახმარებით

უკვე რესტავრირებულია. ახლა მთავარია ტენიანობის რეჟიმის დაცვა, რომ მომავალში მათი რესტავრირება აღარ გახდეს საჭირო.

მუზეუმის რენოვაცია გულისხმობს სერიოზულ ცვლილებებს. მოსამზადებელი ეტაპი ჩასატარებელია სპეციალისტებთან ერთად. დიგიტალიზაციის პროექტი, - თითოეული ექსპონატის ელექტრონული ვერსიის შექმნა, - ჩვენთან უკვე ორი წელია მიმდინარეობს. ეს რენოვაციის პროექტისთვის წინადადებული ნაბიჯია.

პირველ სართულზე უნდა მოეწყოს ადგილი, სადაც მომსახურებელი დატოვებს ნივთებს. მუზეუმში სტუმრობა აუცილებლად გახდება ფასიანი და ბილეთი გაიყიდება. შევთანხმდით, რომ პირველი სართულის დათვალიერებისას არაფერს გადაიხდის შემომსვლელი. აქ იქნება ადგილი, სადაც ტურისტები დაისვენებს. პირველ სართულზე უნდა განთავსდეს სალონური მუხევერებისთვის ლიტერატურული კაფე და საკონფერენციო დარბაზი. ჩვენს მუზეუმში, რამდენიმე წელია, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები - „ნორჩი არქეოლოგები“ და „ნორჩი რესტავრატორები.“ სამომავლოდ, ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით, გვინდა სკოლა-ლიცეუმის გაკეთე-



ბა, სადაც დაინტერესებულ ახალგაზრდებს ჩაუტარდება მინაქარის, რეწვის, ფოტოხელოვნებისა და სხვა ხელოვნების გაკვეთილები და მასტერკლასები.

პირველ სართულზე მოეწყობა ლაბორატორია, სადაც მცირე დამზადების შემთხვევაში ექსპონატებს ჩაუტარდება რესტავრაცია.

უნდა მომზადდეს მუზეუმის ალბომი. სხვადასხვა ექსპონატზე უნდა გაკეთდეს მეცნიერული გამოცემა, რომელიც გაიყიდება მუზეუმის მაღაზიაში სუვენირებისთან ერთად.

ეზო მოეწყობა ისე, რომ 18 საათზე,

როცა დაიკეტება მუზეუმი, ლიტერატურული კაფე-სალონის მუშაობას ხელი არ შეემალოს. მუზეუმის ეზოშიც მოეწყობა საინტერესო შეხვედრები.

მუზეუმის გამორჩეული და სამაყო დარბაზი, სადაც გამოჩენილ ხარაგაულელთა შესახებ მასალებია განთავსებული, ხშირად იწვევს უკმაყოფილებას. მას შემდეგ, რაც მუზეუმში ეს დარბაზი მოეწყობა, სახელოვან ხარაგაულელთა რიცხვს ბევრი მიემატა. ამიტომ პროექტის თანახმად, ეს დარბაზი განახლდება. ვფიქრობთ, რომ თვეში ერთხელ ან გამოჩენილ ხარაგაულე-

ლებთან მოეწყობა შეხვედრა, ან მათი ოჯახის წევრებთან.

მეორე სართულზე ექსპონაცია პრეისტორიული პერიოდით, დევის ხვრელით დაიწყება. შემდეგ გადავალთ არქეოლოგიის დარბაზში. მუზეუმში იმდენად უნიკალური ნივთია, რომ აუცილებლად უნდა წარმოჩენდეს ეფექტების სახით. შემდეგ განვიხილავთ ნუმისმატიკა, საეკლესიო ნივთები, ეთნოგრაფია, გამოჩენილ ადამიანთა ექსპონაცია.

მეორე სართულზე ორი დიდი დარბაზი გვრჩება მუდმივი და დროებითი გამოფენებისთვის. აქ ყველაწარმოებელი პირობა იქნება იმისთვის, რომ სხვა მუზეუმიდან მოვიტანოთ ექსპონატები.

მუზეუმის რენოვაცია, მართალია სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ მუზეუმი განსხვავებულ დატვირთვას და მნიშვნელობას შეიძენს და ფინანსური შემოსავალსაც მიიღობს.

რენოვაციისთვის საჭირო ფინანსების მოძიებაზე ვფიქრობთ. თანდათანობით ადგილობრივი ბიუჯეტიდან აუცილებელი იქნება. იმედი, რომ სპეციალისტებთან კონსულტაციით, სწორი დამოკიდებულებითა და აქტიურობით ყველა ერთად შევძლებთ ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის რენოვაციას.

ნინო ლილია



შეხვედრა 50 წლის შემდეგ

ხევის საჯარო სკოლას არსებობის მანძილზე არაერთი ღამეა ღონისძიება ახსოვს, მაგრამ ოქტომბრის ერთ წვიმიან დღეს გამართულმა ღონისძიებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები მეტად ამაღლებული შეხვედრის მონაწილე გახდნენ, როცა სკოლას 50 წლის წინ კურსდამთავრებულები ეწვივნენ. უკვე თმამი ჭაღარა შერეულები, თვალცრემლიანები, ერთმანეთს ეხვეოდნენ და გულში იკრავდნენ, ეფერებოდნენ ერთმანეთს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ქალბატონმა ნუნუ კურტანიძემ გადამწყობა, მოეწყო თანაკლასელთა შეხვედრა სკოლაში. დადგა მათი

შეხვედრის ნაწილი დღევ. დინჯად მიუსხდნენ სკოლის მერხებს და უჩვეულო გაკვეთილიც დაიწყო, - ეს იყო წარსულის გახსენებისა და მოგონებების გაკვეთილი, - სასაუბრო ხომ ბევრი ჰქონდათ. 50 წელი ცოტა მართლაც არ არის. ისაუბრეს თავიანთ ოჯახებზე, საზოგადოებრივ საქმიანობაზე, შეილენებზე, შვილიშვილებზე, გაიხსენეს გარდაცვლილი პედაგოგები და სასკოლო ცხოვრების კურობები, წუთიერი დემილიტი პატივი მიაცემს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გარდაცვლილ თანაკლასელ ბონდო ხაჩიძის ხსოვნას, რომელსაც კვამლ ტაბატაძემ საკუთარი ლექსი მიუძღვნა. ნუნუ და ცოური კურტანიძეებმა, ბონ-

დო ტაბატაძემ, მანია ხაჩიძემ, ნარგიზ, ფირუზ და ბონდო გელაშვილებმა ჩვეული იუმორით გაიხსენეს სკოლის განვლილი წლები. ჯემალ ტაბატაძემ ლექსი მიუძღვნა თანაკლასელებს, მანდილოსნებს კი ყვავილები მიართვა. შეხვედრის მონაწილეებმა სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობას, კეთილი სურვილების ჩანაწერებით, დაუტოვეს მოგონებათა ალბომი. შეხვედრამ სუფრაზე გადაინაცვლა. ცრემლს სიცილი ცვლიდა, ლექსს - სიმღერა და ცეკვა. ყველა მადლობას უხდებდა შეხვედრის ორგანიზატორს ნუნუ კურტანიძეს ამ ღამეში და ღრმად მინაარსიანი დღის ჩუქებისათვის.

მანანა ტაბატაძე



ჩვენს საყვარელ ბიძაშვილს **გეგა ბრძანაშვილს** და მის მეუღლეს **მარი ბრძანაშვილს** ვულოცავთ გაბედნიერებას. ვუსურვებთ უღრეს სიხარულს, სიყვარულსა და შვილთა სიმრავლეს.

ლილი სიმკარაული, ბიძაშვილები ნათია, ლაშა, თაზ ბრძანაშვილები

ღვანულად ვლოცავთ ხარაგაულელს, ღირსეულ პიროვნებას, თავდადებულ, პროფესიონალ ექიმს, რაიონის ქირურგს **ჯანუზ ჭაჭავაძის** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღევანდელს, პროფესიულ წარმატებას და ოჯახურ ბედნიერებას.

შპს „რაბიონული ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაულის“ თანაშრომლები

ჩვენს საყვარელ **მაია მაღრაძეს** და **მანანა ვუხუშაძეს** ვულოცავთ შვილების **გიორგისა** და **მარიამის**, **ლაშასა** და **მანანას** ბედნიერებას. ჩვენო საამაყო ვაჟკაცებო, გისურვებთ ღამეში ოჯახების შექმნას, შვილთა სიმრავლეს და უღრეს სიყვარულს. უფალმა წყალობა არ მოაკლოს თქვენს ოჯახებს.

თამარი მონიშვარული ნათია მაღრაძე, ლაშა და ნანა შარიაძეები

ვულოცავთ შვილების ბედნიერებას **მაია მაღრაძეს** და **მანანა ვუხუშაძეს**. ახალშობილებს წყვილს - **მარიამ გიორგის** და **გიორგი ვუხუშაძეს** ვუსურვებთ დიდ ბედნიერებას და შვილთა სიმრავლეს. ღმერთის წყალობა არ მოჰკლებოდეს მათ ღამე ოჯახს.

ხარაგაულის ფილია ანდრია პირველშობილის ბიძაშვილის ალაგოზიური კოლმედიკი და ტამარი პირსონალი

ჩვენს ძვირფას, საყვარელ და ამაღლარ მამასა და ბაბუს **იური სიმონის ძე ბუაჩიძეს** ვულოცავთ დაბადებიდან 90 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს.

შვილები მაღლაძე და ზურაბი, შვილიშვილები ვალვა, გიორგი, ნატაშა, კახი

დაბადების დღეს ვულოცავთ გვარის საჯარო სკოლის ოქტომბრში დაბადებულ თანამშრომლებს **მამტარინა ტალახაძეს**, **ნუცა ფანქველაშვილს**, **ცირა ფანქველაშვილს**, **გიორგი ტალახაძეს** და **ანზორ კურტანიძეს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს. უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეს.

ზვარის საჯარო სკოლის თანაშრომლები

გვხანის საჯარო სკოლის 2014-2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებს: **ნინო ტალახაძეს**, **თაზ ცხადაძეს**, **მინდია არამაძეს** და **ლალი კიკნაძეს** ვულოცავთ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას. ჩვენო ძვირფასებო, გისურვებთ ცხოვრების ამ ღამეში წლების ნაყოფიერად გამოყენებას, წინფიქრსა და წარმატებებს ცხოვრებაში. უფალი ფარავდეს თითოეულ თქვენგანს.

მანანა ვუხუშაძე, ლაშა და ნანა შარიაძეები



დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს უფროს ძმას - დამსახურებულ პედაგოგს, მრავალ თაობათა ღირსეულ აღმზრდელს და საიმედო გზამკვლევეს, მეგობართა და მოყვასთა გვერდში მდგომს, უღრესად გულისხმიერ **პირი მაღლაძეს** ვულოცავთ ჯანმრთელობას, მხნეობას. ვკლავთ ასე მედგრად და მუსხლმუნდრეკლად გაეტარებინოს ცხოვრების წლები. გიორგობის თვეში დაბადებულ გოგი ჯღამაძეს ჰფარავდეს წმინდა გიორგის მადლი და ძალი.

ამიანდოვანი ვალვა

თბილისის მეტროპოლიტენის ღვანულაძის მუშაკი, პერსონალური პენსიონერი

გვხანის სკოლის საქმისმწარმოებელს, **მანანა ვუხუშაძეს** ვულოცავთ მეორე ქალიშვილის შექმნას. ვუსურვებთ პატარა **ინა ცხადაძეს** სასახელო ქართველ ქალად აღზრდას, უღრესად ბავშვობასა და ბედნიერ მომავალს.

მანანა ვუხუშაძე, ლაშა და ნანა შარიაძეები

გვარის საჯარო სკოლის თანამშრომლები ვულოცავთ ჩვენს პედაგოგს **იური თიანაშვილს** შვილების **მარიამ ბუაჩიძის** და **გეგა ბრძანაშვილის** ბედნიერებას. ვუსურვებთ ახალდაქორწინებულს ბედნიერი ოჯახის შექმნას, შვილთა სიმრავლეს და უფლის მფარველობას.

60 წლის მერაბ ირქიტიძეს

ცხოვრება რთულია და მინცდა-მინც არ ანებებებს ადამიანებს. ძალიან ცოტანი არიან პიროვნებები, ვინც წუთისთვისაც თვალს გაუსწორებს და რომ შეიძლებოდეს ცხოვრების თავიდან დაწყება, იმავე გზას აირჩევდნენ, რითაც უცლიათ. ბავშვობა მწვრთნელი, - ასეთი კვალიფიკაცია არ არსებობს, მაგრამ არიან პიროვნებები, რომლებსაც თავისი შეგნებული ცხოვრება ბავშვობა ფიზიკურ აღზრდას მოახმარებს. ასეთ ადამიანთა რიცხვს მივუთვრება ხარაგაულელი მერაბ ირქიტიძე. მის ხელში მრავალმა თაობამ გაიარა. ბუნებით ოპტიმისტი ახალგაზრდობის განსაზღვრებითა და გულისხმიერებას ითხოვს, გამოცდილების განხილვას და დახმარება უდევს სიამოვნებას ანიჭებს. იგი დღესაც თავდადებით იღვწის ახალგაზრდების უკეთესი მომავლისთვის. გადაუჭარბებლად

შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანს განსაკუთრებული სითბო და სიყვარული აკავშირებს უფროს მეგობართან, მერაბ ირქიტიძესთან.

ამდენი ძვირფასი თვისების მქონე ადამიანს, ბუნებრივია, ოჯახიც ჩინებული ჰყავს. იგი საუკეთესო მეუღლე, მამა, ძმა და ბაბუა გახლავთ დიდი ოჯახისა. შრომის სიყვარული, კაცთმოყვარეობა და სიკეთის კეთება ჩაუწერა თავის შვილებს. იგივე პრინციპებით ზრდის და სიკეთისკენ მოუწოდებს ხუთივე შვილიშვილს.

ეუბილეს ვილოცავთ. დღევანდელს გოგონას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ თქვენს ღამეში ოჯახთან ერთად. გვარავციე უფალი!

ხარაგაულის სკოლის განვითარებისა და მართვის მნიშვნელოვანი წვლილის მქონე თანაშრომლები

ხარაგაულის რაზო თაზუაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი

ვულოცავთ დაბადების დღეს ვამლევის საჯარო სკოლის დირექტორს **ქეთევინ ლურსაგაშვილს**, მასწავლებლებს **ლარსაშვილს** და **თაზუაშვილს** და **თაზუაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, უღრეს სიხარულს და უფლის მფარველობას.

ვაჟაშვილის საჯარო სკოლის პედაგოგები

გვხანის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეს, **ანა მაღრაძეს**, ვულოცავთ აკადემიურ მოსწრებაში წარმატებას და ამის გამო, პერსონალური კომპიუტერით დაჯილდოებას. ვუსურვებთ, ასევე წარჩინებულად გაეგრძელებინოს სწავლა და ყოველთვის ესახელებინოს მშობლიური სკოლა, ოჯახი და ქვეყანა.

მანანა ვუხუშაძე, ლაშა და ნანა შარიაძეები

ვახანის საჯარო სკოლის პედაგოგები

ლალი ბრძანაძე და ლაშა კიკნაძე ვულოცავთ ქალიშვილის, **ნათია კიკნაძის**, ბედნიერებას. ვუსურვებთ ახალდაქორწინებულს ბედნიერი ოჯახის შექმნას, შვილთა სიმრავლეს და უფლის მფარველობას.

ხარაგაულის რაზო თაზუაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი

ბრიგოლ ტაბატაძე



ერთი წელი სრულდება 7 ნოემბერს, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, რაც მარადიულ სასუფეველში გადასახლდი. შენივე დაბადების დღეს დაგვეტოვე საშუალოდ. 7 ნოემბერს 88

წლისა შესრულდებოდი. გვაკლიხარ ოჯახს, - შეიღებეს, ახლობლებს, ყველაზე მეტად კი მე მაკლიხარ. ძნელი ყოფილა უშენობა, ჩემო მშრომელო და დოვლათიანო. შენნაირი გამრჯე ადამიანი ძნელად მოიძებნება. შენი ნამყენები მოწყენილია უშენოდ. ვცდილობთ, ყველაფერი ისე გავაყვითოთ, შენ რომ გავგებარდებოდა და მოგეწონებოდა. ყველას უყვარდი და გაფასებდა. გულისხმიერი, სანდო, სხვისი სიხარულის გულწრფელად გამზიარებელი და გაჭირვებულის ერთგულად გვერდით მდგომი იყავი. ძალიან მენატრები. უფაღს ვთხოვ, მუდამ ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და ალაღმართალი სული. არასოდეს დაგივიწყებს შენი შთამომავლობა. მარად იქნება სენება შენი.

მამულე ლილი ტაბატაძე

ნორა პავლაძის ხსოვნას



13 ნოემბერს ერთი წელი შესრულდება ნორა პავლაძის გარდაცვალებიდან. თბილი, ყურადღებიანი, გულისხმიერი ადამიანი იყო, კარგი მეოჯახე, საუკეთესო დიასახლისი. გულთ უდიდეს ტკივილსა და სევდას ატარებდა. შეიღებ, როინ პავლაძის, დაღუპვამ დიდი დარტყმა მიაცენა. თუმცა მუდამ ცდილობდა, ტრავმას ვაჟუკავურად გამკლავებოდა. გულკოხტა და ქალბატონების სილამაზებზე მზრუნველი ხარაგაულელებს სილამაზის სალონიდან ახსოვთ.

პირადი ტრავმების მიუხედავად, მუდამ ცხოვრების ფერხულში იდგა. სულიერ ტკივილს არ ეუბუქოდა. ცდილობდა, გარემომყოფთათვის ცხოვრება გაეღამებინა. 80 წლისამ დაგვეტოვა და თავის მონატრებულ შვილთან გადასახლდა. ნორა პავლაძე იმ ადამიანებს განეკუთვნება, ასაკის მიუხედავად, ყველას რომ გულს წყვეტს მისი ამქვეყნიდან გასვლა.

უფაღს ვთხოვთ მუდამ ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

ნორა, ზურაბო, მზარია, ნუზარია კაპლაძეები ოჯახში

ოლეგი ლონლაძე

ოლეგი ლონლაძის სიკეთე და მადლი დღემდე ემასხოვრება მოლითს. მოლითის ცენტრში, ათეულობით წლებია, გამგულელ-გამომგულელს იზიდავდა აქაური განთქმული შურის იურელი. ეს საცხოვრებელი ფერადების ფასი. მისი სახით ოჯახსა და სოფელს დააკლდა ღვთისნიერი და მშრომელი კაცი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ოლეგი ლონლაძის სული.

პოლიტიკის ადმინისტრაციული მეთაულის თანამშრომელი

ხარაგაულის სახანძრო-სამაშველო განყოფილების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მიხეილ ბუაჩიძეს ბიძის **თენგიზ ზუზუაძის** გარდაცვალების გამო.

ტიტიკო და თემური შერველაშვილები ოჯახებით იწყებენ, რომ გარდაიცვალა **თენგიზ ზუზუაძე** და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ თანამშრომლები თანაუგრძობენ ბესო დავაძეს და ლაურა ბლუაშვილის მამისა და მამამთილის **შოთა ლავაძის** გარდაცვალების გამო.

ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძობენ ქეთი დავაძეს საყვარელი ბაბუის **შოთა ლავაძის** გარდაცვალების გამო.


იური ლონლაძის ხსოვნას



საოცრად კეთილი, თავმდაბალი, გულისხმიერი, ვაჟუკავური, დიდი იუმორით საესე, ბავშვების ქომაგი და საყვარელი პედაგოგი, ნიჭიერი, ხელმარჯვე, კარგი მუსიკოსი, - ასეთი დაამახსოვრდი ხევის საჯარო სკოლის თანამშრომლებსა და იმ მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომელთა გვერდით წლები გაატარე. როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, ფეხით დაადგებოდი გზას ხუნევიდან და მოსწავლეებს არ უღალატებდი. უყვარდი ყველას, გაფასებდნენ, თქვენი დიდი რიდი და მოკრძალებაც ჰქონდათ. ძალიან ვიყვარდათ მათემატიკა და ყველა მოსწავლეს უადვილებდით ამ მეტად რთული საგნის შესწავლას. სკოლაში მუშაობის პერიოდში იყო დიდი ყველას თანადგომა და სხვისი ჭირ-ვარამისა თუ სიხარულის გამზიარება. საოცრად ვიყვარდათ მუსიკა. შესანიშნავად მღეროდით, უკრავდით. რაიონის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს წლების მანძილზე ელექტივ გვერდში და არაერთი გასტროლი მათთან ერთად ჩვენს ქვეყანასა თუ

ქვეყნის გარეთ წარმატებით გავივლიათ. ამის შემდეგ ყველას დააკლდებით, - მეგობრებს, მეზობლებს, ნათესავებს, განსაკუთრებით კი საყვარელ ცოლ-შვილს, შვილიშვილებს. ყველას უმძიმს თქვენთან განშორება. მუდამ მოფუსფუსემ მოსავიწარმოე ბევრი დატოვეთ, დიდ სიბოლესა და სიყვარულთან ერთად. ძნელა დატყდება, რომ უკვე წარსულმა დაგისაკუთრა. უფაღს ნათელი და მარადიული სასუფევლო დაგიმკვიდროს. **ხმის საჯარო სკოლა**

ბალიკო თაბუკაშვილის ხსოვნას



კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა ამ საზოგადოებას. ლუდუმეცემ და კარგა არაჩვეულებრივი ადამიანი, შემკული ნიჭიერებით, ღირსებით, თავმდაბლობითა და მოკრძალებით. ბალიკო თაბუკაშვილი დაჯილდოებული იყო უნიკალური ნიჭით. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ხალხურ შემოქმედებას დააკლდა ერთ-ერთი გამოჩენილი ნიჭიერი, უნიკალური ხმისა და ქართული ხალხური საკრავების უბაღლო შემქმნელი. მისი

მადლიანი და გამრჯე ხელით შექმნილმა ფანტურმა ანსამბლ „ერისონთან“ ერთად მსოფლიო მოიარა. მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული ხალხური შემოქმედების ისტორიაში.

უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მისი გარდაცვალების გამო. იგი წავიდა, მაგრამ დატოვა არაჩვეულებრივი ადამიანის სახელი. ყველას გული დასწყვიტა მისმა მლოდინდელმა გარდაცვალებამ.

ღმერთმა დაგიმკვიდროს ნათელი. მის წიაღში დაგვლოს ბინა. იასა და ვარდს ეხაროს შენს საფლავზე. მსუბუქი იყო შენს გულზე დაყრილი ლუდუმეცემის მინა, რომელიც ძალიან ვიყვარდა და რომლის სიყვარულზეც გათქმევინა უარი შენს პირად ბედნიერებაზე. ლუდუმეცემისა და მამა-პაპისეული სახლ-კარის სიყვარულმა გავიმეტა მარტოობისთვის, მაგრამ შენ მარტო არ ყოფილხარ. „უფალი შენთან არს.“ იძინე მშვიდად მარტოობით დაღლილი კეთილი ადამიანი.

ლუდუმეცემის მშობლები

იცილება

პატარა ხარაგაულში იყიდება კერძო სახლი ეზოთი, საცხოვრებელი ფართი 200 კვმ. მისამართი: ელისო ჭიპაშვილის ქ. №1. ფასი 8 ათასი აშშ დოლარი. ტელ.: 551 285 275

იყიდება ერთოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქ. №56-ში. ბუნებრივი აირით. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონით 593 75 33 01 (მაღახში).

იყიდება სამოსახლო ნაკვეთი პატარა ხარაგაულში, ძველ საავადმყოფოსთან, ყველა კომუნიკაციით, ხეხილით. ტელეფონი 514 15 12 12 (გოჩა).

აინლი

დ. ხარაგაული

- 06.11 - შიანი დარი, დღე +18°C, ღამე +11°C;
- 07.11 - შიანი დარი, დღე +18°C, ღამე +11°C;
- 08.11 - შიანი დარი, დღე +16°C, ღამე +9°C;
- 09.11 - მოდრუბლულობა ნალექით, დღე +13°C, ღამე +8°C;
- 10.11 - ცვალებადი მოდრუბლულობა უნალექოდ, დღე +15°C, ღამე +10°C;
- 11.11 - ცვალებადი მოდრუბლულობა უნალექოდ, დღე +14°C, ღამე +9°C.

კიხნი

- 06.11 - შიანი დარი, დღე +17°C, ღამე +9°C;
- 07.11 - შიანი დარი, დღე +16°C, ღამე +9°C;
- 08.11 - შიანი დარი, დღე +15°C, ღამე +7°C;
- 09.11 - მოდრუბლულობა ნალექით, დღე +12°C, ღამე +7°C;
- 10.11 - ცვალებადი მოდრუბლულობა უნალექოდ, დღე +13°C, ღამე +8°C;
- 11.11 - ცვალებადი მოდრუბლულობა უნალექოდ, დღე +13°C, ღამე +8°C.

პირიტი

- 06.11 - შიანი დარი, დღე +16°C, ღამე +9°C;
- 07.11 - შიანი დარი, დღე +15°C, ღამე +8°C;
- 08.11 - შიანი დარი, დღე +14°C, ღამე +6°C;
- 09.11 - მოდრუბლულობა ნალექით, დღე +11°C, ღამე +7°C;
- 10.11 - ცვალებადი მოდრუბლულობა უნალექოდ, დღე +12°C, ღამე +7°C;
- 11.11 - ცვალებადი მოდრუბლულობა უნალექოდ, დღე +12°C, ღამე +6°C.

პოლიტი

- 06.11 - შიანი დარი, დღე +14°C, ღამე +7°C;
- 07.11 - შიანი დარი, დღე +14°C, ღამე +6°C;
- 08.11 - შიანი დარი, დღე +13°C, ღამე +4°C;
- 09.11 - ცვალებადი მოდრუბლულობა ნალექით, დღე +10°C, ღამე +5°C;
- 10.11 - ცვალებადი მოდრუბლულობა უნალექოდ, დღე +11°C, ღამე +5°C;
- 11.11 - ცვალებადი მოდრუბლულობა უნალექოდ, დღე +10°C, ღამე +4°C.

მთავარი რედაქტორი
ლაურა გომოლაძე

რედაქტორის მონაცემები
593 35 65 80

თამარ გომოლაძე
555 57 45 78

ლიზანიერი
შოთა ლომიძე

557 10 20 47
shotiko@lomidze.info

მის.: ხარაგაული, სოლომონ მეფის №59

ტელ.: 0 433 22 16 27

593 900 501

gogoladze.laura@gmail.com

გაზეთი რეგისტრ. №47/5-ბ-12